

2022 წლის
ფინანსური ანგარიშგება
შპს „მეკრე“
(ს/კ 400210240)

შინაარსი

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა	3
ფორმა N2- საქმიანობის შედეგები	5
ფორმა N3 - საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები	7
1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. მომზადების საფუძველი	7
3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები	8
4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	8
5. მარაგები	8
6. სხვა მიმდინარე აქტივები	9
7. ძირითადი საშუალებები	9
8. არამატერიალური აქტივები	10
9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	11
10. ფინანსური ვალდებულებები	11
11. კაპიტალი	12
12. ამონაგების აღიარება	13
13. სხვა შემოსავლები	13
14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	13
15. მიწოდების ხარჯები	14
16. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები	14
17. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო	14
18. სხვა ხარჯები	14
19. გადასახადები/საგადასახადო ვალდებულებები	15
20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	15
21. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები	16
22. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები	16

შპს "მეკრე" (ს/კ 400210240)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	230,399	276,194
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	3,785,766	613,562
მარაგები	5	2,560,873	477,789
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	6	55,953	4,310
		6,632,991	1,371,855
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	198,783	263,927
საინვესტიციო ქონება		-	-
არამატერიალური აქტივები	8	2,573	2,804
ბიოლოგიური აქტივი		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-
		201,356	266,732
მთლიანი აქტივები		6,834,347	1,638,585
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		478,161	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	10	65,970	82,964
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	2,993,390	286,415
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი პროცენტი		-	-

გადასახდელი დივიდენდი		-	-
დაქირავებულ პირთა მიმართ ვალდებულება		401	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		2,002	39
		3,539,924	369,418
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	2,292,661	794,308
ანარიცხები	21	32,997	22,071
გადავადებული შემოსავალი		-	-
		2,325,658	816,379
მთლიანი კაპიტალი	11		
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		968,764	452,788
გადაფასების რეზერვი		-	-
		968,764	452,788
მთლიანი ვალდებულებები		5,865,583	1,185,797
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,834,347	1,638,585

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "მეკრე"-ს სახელით 2023 წლის 25 სექტემბერს

იოსებ ბიბილაშვილი

შპს "მეკრეს"-ს დირექტორი



თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს "მეკრე" (ს/კ 400210240)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2022 წ.	2021 წ.
ამონაგები	12	17,946,774	3,183,040
თვითღირებულება		(16,398,251)	(2,788,974)
საერთო მოგება		1,548,523	394,066
სხვა შემოსავლები	13	7,020	15,778
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	14	(197,200)	(114,797)
მიწოდების დანახარჯები	15	(69,853)	(37,184)
დასაქმებულთა ხელფასები და სარგებელი	16	(476,754)	(235,214)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი	7	(13,537)	(14,641)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	17	(107,018)	(23,370)
სხვა ხარჯები	18	(59,938)	(36,662)
საოპერაციო მოგება		631,242	(52,025)
ფინანსური შემოსავალი	10	-	-
ფინანსური ხარჯი		(115,265)	(72,412)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(115,265)	(72,412)
მოგება დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		515,977	(124,437)
სხვა სრული შემოსავალი:			

ქონების გადაფასებასთან დაკავშირებული
(ზარალი)/შემოსულობა, გადასახადის
გამოკლებით

- -

მთლიანი სრული შემოსავალი

515,977

(124,437)

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "მეკრე"-ს სახელით 2023 წლის 25
სექტემბერს

იოსებ ბიბილაშვილი

შპს "მეკრეს"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ



შპს "მეკრე" (ს/კ 400210240)

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფორმა N3- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	-	577,225	577,225
წმინდა მოგება	-	(124,437)	(124,437)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	452,788	452,788
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	452,788	452,788
წმინდა მოგება	-	515,977	515,977
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	968,764	968,764
2022 წლის 31 დეკემბერი	-	968,764	968,764

გამოსაშვებად დამტკიცებული და შედგენილია შპს "მეკრე"-ს სახელით 2023 წლის 25
სექტემბერს

.....
იოსებ ბიბილაშვილი

შპს "მეკრე"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ
ნაწილს



ფორმა N1- ფინანსური მდგომარეობა

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	3	230,399	276,194
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	4	3,785,766	613,562
მარაგები	5	2,560,873	477,789
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		-	-
სხვა მიმდინარე აქტივები	6	55,953	4,310
		6,632,991	1,371,855
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	7	198,783	263,927
საინვესტიციო ქონება		-	-
არამატერიალური აქტივები	8	2,573	2,804
ბიოლოგიური აქტივი		-	-
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში		-	-
		201,356	266,732
მთლიანი აქტივები		6,834,347	1,638,585
ვალდებულებები და კაპიტალი			
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები		478,161	-
გრძელვადიანი სესხების მიმდინარე ნაწილი	10	65,970	82,964
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	2,993,390	286,415
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
გადასახდელი პროცენტი		-	-
გადასახდელი დივიდენდი		-	-
დაქირავებულ პირთა მიმართ ვალდებულება		401	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		2,002	39
		3,539,924	369,418
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	2,292,661	794,308
ანარიცხები	21	32,997	22,071
გადავადებული შემოსავალი		-	-
		2,325,658	816,379
მთლიანი კაპიტალი	11		
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		968,764	452,788

გადაფასების რეზერვი		-	-
		968,764	452,788
მთლიანი ვალდებულებები		5,865,583	1,185,797
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		6,834,347	1,638,585

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "მეკრე"-ს სახელით 2023 წლის 25 სექტემბერს

.....

იოსებ ბიბილაშვილი

შპს "მეკრეს"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფორმა N2- საქმიანობის შედეგები

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2021 წ.	2020 წ.
ამონაგები	12	3,183,040	5,447,213
თვითღირებულება		(2,788,974)	(5,151,591)
საერთო მოგება		394,066	295,622
სხვა შემოსავლები	13	15,778	74,919
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	14	(114,797)	(98,946)
მიწოდების დანახარჯები	15	(37,184)	(34,364)
დასაქმებულთა ხელფასები და სარგებელი	16	(235,214)	(66,446)
ცვებისა და ამორტიზაციის ხარჯი	7	(14,641)	(10,117)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	17	(23,370)	(34,137)
სხვა ხარჯები	18	(36,662)	(44,134)
საოპერაციო მოგება		(52,025)	82,397
ფინანსური შემოსავალი	10	-	872
ფინანსური ხარჯი		(72,412)	(10,768)
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(72,412)	(9,896)
მოგება დაბავშვამდე			
მოგების გადასახადი		-	-
წმინდა მოგება		(124,437)	72,501
სხვა სრული შემოსავალი:			
ქონების გადაფასებასთან დაკავშირებული (ზარალი)/შემოსულობა, გადასახადის გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		(124,437)	72,501

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "მეკრე"-ს სახელით 2021 წლის 15
 სექტემბერს

.....

იოსებ ბიბილაშვილი

შპს "მეკრე"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ
 ნაწილს

ფორმა N3 - საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

(თანხები მოცემულია ქართულ ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	-	577,225	577,225
წმინდა მოგება	-	(124,437)	(124,437)
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	452,788	452,788
გაცემული დივიდენდი	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	-	452,788	452,788
წმინდა მოგება	-	515,977	515,977
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	968,764	968,764
2022 წლის 31 დეკემბერი	-	968,764	968,764

გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს "მეკრე"-ს სახელით 2023 წლის 25 სექტემბერს

.....

იოსებ ბიბილაშვილი

შპს "მეკრეს"-ს დირექტორი

თანდართული შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „მეკრე“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2017 წლის 03 ივლისს საქართველოში დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, გლდანის რაიონი, ქერჩის ქ., N1, ბ. 58, ხოლო მისი ფაქტობრივი მისამართია ქ.თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი N122.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობას ახალი და ნახმარი ავტომობილებით, ავტომობილების ნაწილებითა და აქსესუარებით.

კომპანიას ყავს სამი მეწილე. 15%-15%-იანი წილის მფლობელი ფიზიკური პირები იოსებ ბიბილაშვილი და ილია თაბორიძე და 70%-იანი წილის მფლობელი ფიზიკური პირი დიანა ბაშალეიშვილი. კომპანიის დირექტორია იოსებ ბიბილაშვილი.

2. მომზადების საფუძველი

მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში „მსს ფასს“), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე (რომელიც გამოიყენება მსს ფასს 35-ე განყოფილების „მსს ფასს-ზე გადასვლა“-ფარგლებში).

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- 2021 წლამდე კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხდებოდა მე-4 კატეგორიის საწარმოების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის შესაბამისად;
- 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით;
- კომპანიამ ისარგებლა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის ბრძანების შესაბამისად გამოცემული შეღავათით და არ წარადგინა ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (*“GEL”*).

წარდგენის ვალუტა

ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

3. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს სალაროში, ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკში და უცხოური ვალუტას რეზიდენტ ბანკში.

	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
ნაღდი ფული სალაროში	172,269	86,732
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	5,845	117,794
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	52,285	71,669
	230,399	276,194

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია ძირითადად ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში თუ საკრედიტო ვადა აღემატება სტანდარტულ საკრედიტო ვადას, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებების გაანალიზება იმის დასადგენად, ხომ არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება, რომ ეს თანხები არ ექვემდებარება ამოღებას. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავლები მოიცავს ძირითადი მომწოდებლებისთვის გადახდილ ავანსებს. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება 2022 წელს არ მომხდარა.

	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	338,018	87,769
გადახდილი ავანსები	3,447,748	525,792
სულ	3,785,766	613,562

5. მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის.

მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭირო შეფასებითი დანახარჯების გამოკლებით.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს ძირითადი საქმიანობისთვის განკუთვნილ მზა პროდუქციას, რომელიც მის მიერ იყიდება.

	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
მზა პროდუქცია	2,559,607	476,571
სხვა მარაგი	1,266	1,218
სულ	2,560,873	477,789

მიმდინარე პერიოდის ხარჯად აღიარებული მარაგის თვითღირებულებამ შეადგინა 16,398,251 ლარი (2021 წელს 2,788,974 ლარი). მიმდინარე პერიოდში მარაგებისთვის აღიარებული გაუფასურების ზარალმა შეადგინა 0 ლარი (2021 წელს 0 ლარი).

6. სხვა მიმდინარე აქტივები

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს ძირითადად საგადასახადო ორგანოსა და საპენსიო სააგენტოში ზედმეტად გადახდილ თანხებს.

	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
საგადასახადო აქტივი	55,953	4,310
საპენსიო სააგენტოში ზედმეტად გადარიცხული	-	-
სულ	55,953	4,310

7. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

- სატრანსპორტო საშუალებები 5-10 წელი
- ფინანსური იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალებები 5-10 წელი
- სადიაგნოსტიკო კომპიუტერი 5-10 წელი
- ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი 5-10 წელი

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

	სატრანსპორტო საშუალებები	ფინანსური იჯარით აღებული სატრანსპორტო საშუალებები	სადიაგნოსტიკო კომპიუტერი	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	სულ
31 დეკემბერი 2021	72,070	139,461	4,557	78,472	294,560
შემოსვლა/რემონტი	133,325	-	5,088	1,364	139,778
გადაფასება	-	-	-	-	-
გასვლა	(72,070)	(139,461)	-	-	(211,530)
31 დეკემბერი 2022	133,325	0	9,645	79,837	222,807
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2021	(3,345)	(10,901)	(1,571)	(14,815)	(30,632)
პერიოდის ცვეთა	(3,064)	(4,197)	(356)	(5,689)	(13,306)
გასვლა	4,816	15,098	-	-	19,914
31 დეკემბერი 2022	(1,593)	-	(1,927)	(20,505)	(24,024)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2021	68,725	128,559	2,986	63,657	263,927
31 დეკემბერი 2022	131,733	0	7,718	59,332	198,783

8. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები გუდვილის გარდა, შეფასებულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. აქტივების ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულება განაწილებულია მათ სასარგებლო მომსახურების ვადებზე, ამორტიზაციის წრფივი მეთოდის გამოყენებით. კომპანიის მფლობელობაში არსებული არამატერიალურ აქტივს წარმოადგენს საბუღალტრო და მაღაზიის პროგრამა.

არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ 10 წლის განმავლობაში.

	საბუღალტრო პროგრამა	სხვა პროგრამა	სულ
31 დეკემბერი 2021	1,908.5	1,200.0	3,108
შემოსვლა/რემონტი	-	-	-
გადაფასება	-	-	-
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	1,908	1,200	3,108
ცვეთა და გაუფასურება			
31 დეკემბერი 2021	(191)	(113)	(304)
პერიოდის ცვეთა	(191)	(40)	(231)
გასვლა	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(382)	(153)	(535)
წმინდა საბალანსო ღირებულება			
31 დეკემბერი 2021	1,718	1,087	2,804
31 დეკემბერი 2022	1,527	1,047	2,573

9. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

აღნიშნული თანხები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობების საფუძველზე აღებულ ვალდებულებებს და პროცენტებს არ ითვალისწინებს. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება კომპანიის ფულად ერთეულში (ლარში), საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში. კომპანიის მიერ წინასწარ მიღებულ თანხებს, რომელთა აღიარება დარიცხვის მეთოდით მოხდა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდებში.

	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
სავაჭრო ვალდებულებები	412,024	256,980
მიღებული ავანსები	2,581,366	29,435
სულ	2,993,390	286,415

10. ფინანსური ვალდებულებები

სესხები თავდაპირველად საოპერაციო ფასით აისახება (ანუ კრედიტორისათვის გადასახდელი თანხის ახლანდელი ღირებულება, საოპერაციო ხარჯების ჩათვლით). სესხები შემდგომში ამორტიზირებული ხარჯით აისახება. საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის საფუძველზე და აისახება ფინანსურ ხარჯებში. სესხები კლასიფიცირდება როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუკი კომპანიას არ გააჩნია უპირობო უფლება აღნიშნული ვალდებულების გასტუმრების გადავადების შესახებ, ანგარიშგების თარიღიდან არანაკლებ 12 თვის ვადით.

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია 2 ფინანსური იჯარის სესხი, რომელთა დაფარვის ვადა არის 2025 წლის 20 მაისი, თუმცა კომპანიამ ორივე ფინანსური იჯარა წინსწრებით დაფარა 2022 წელს. კომპანიას ასევე აქვს საკრედიტო ხაზი ლარში, რომლის საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 5%-ს, ასევე მიკრო ბიზნეს სესხი ევროში, რომლის დაფარვის ვადა არის 5 წელი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 16%. ამ უკანასკნელის უზრუნველყოფაში ჩადებულია ფინანსური იჯარით აღებული ორი ავტომანქანა.

	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	65,970	82,964
	65,970	82,964

	31.12.2022წ.	31.12.2021წ.
ფინანსური იჯარა	1,117,732	66,507
საკრედიტო ხაზი	1,174,929	727,801
	2,292,661	794,308

11. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი.

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს ნომინალურ კაპიტალს, რომელიც 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 0 ლარს.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

დივიდენდების აღიარება ხდება, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გამოცხადებულია ანგარიშგების შედგენამდე პერიოდში ან ანგარიშგების შედგენის თარიღით. დივიდენდები ცხადდება, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების შედგენის თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან

გამოცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

2022 წელს არ მომხდარა დივიდენდების გაცემა.

12. ამონაგების აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით, ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით საქონლის რეალიზაციიდან ამონაგები აღიარდება მაშინ, როდესაც მყიდველს მიეწოდება საქონელი/გაეწევა მომსახურება და გადაეცემა საკუთრების უფლება.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი. შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებული ღირებულების გადასახადის გარეშე. გაყიდვები ნაჩვენებია დღ-ს გარეშე. ამონაგები მოიცავს საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ შემოსავალს.

13. სხვა შემოსავლები

	2022წ.	2021წ.
საშემოსავლო გადასახადის შეღავათი	-	3,340
მომწოდებლებისგან მიღებული ბონუსი	-	11,641
საგარანტიო მომსახურების ანარიცხის კორექტირება	-	797
ძირითადი საშუალების გასვლიდან მიღებული შემოსავალი	7,020	-
სულ	7,020	15,778

14. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

	2022წ.	2021წ.
მივლინების ხარჯი	2,619	15
საბანკო ხარჯი	50,821	17,763
დაცვის ხარჯი	725	314
დაზღვევის ხარჯი	2,082	2,851
კომუნიკაციის ხარჯი	4,156	2,748
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	2,742	2,542
საკანცელარიო ხარჯი	967	149
იჯარის ხარჯი	97,748	62,034
კომუნალური	11,167	10,179
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	24,173	16,201
სულ	197,200	114,797

იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარა, როდესაც ის არ ითვალისწინებს საიჯარო აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის მოიჯარეზე გადაცემას. საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარისთვის გადასახდელი ქირის ოდენობა აღიარდება ხარჯად მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდის გამოყენებით, იჯარის შესაბამისი ვადის განმავლობაში. პირობითი საიჯარო ქირა არ არსებობს. კომპანიას იჯარით აღებული აქვს შენობა 5-წლიანი და ავტოსანტრანსპორტო საშუალება 2-წლიანი შეუქცევადი საოპერაციო (ჩვეულებრივი) იჯარის ხელშეკრულებით.

15. მიწოდების ხარჯები

	2022წ.	2021წ.
ტრანსპორტირების ხარჯი	2,130	386
მარკეტინგის და რეკლამის ხარჯი	48,077	30,729
მიწოდების სხვა ხარჯი	19,647	6,069
სულ	69,853	37,184

16. დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასები, გასამრჯელოები, ყოველწლიური ანაზღაურებადი შვებულებები, ბიულეტენები, პრემიები და არაფულადი სარგებლები კომპანიის მიერ ექვემდებარება დარიცხვას იმავე პერიოდში, რომელშიც კომპანიის თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული. კომპანიას არ აქვს რაიმე სახის საპენსიო ან მსგავსი პროგრამის (მათ შორის თანამშრომლის სამსახურის შემდგომი სარგებლის სახით) იურიდიული თუ არაკონტრაქტული ვალდებულება.

17. სხვა შემოსულობა/(ზარალი) - ნეტო

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

კურსები წლების მიხედვით:

	2022	2021
ევრო EUR	2,8844	3,5040
აშშ დოლარი USD	2,7020	3,0976
	2022წ.	2021წ.
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება	15,981,637	2,618,101
საკურსო სხვაობიდან მიღებული ზარალი	(16,088,654)	(2,641,472)
სულ	(107,018)	(23,370)

18. სხვა ხარჯები

	2022წ.	2021წ.
სხვა საგადასახადო ხარჯი	27,915	33,637
წარმომადგენლობითი ხარჯი	4,580	2,044
საგარანტიო მომსახურების ხარჯი/ანარიცხი	27,418	-
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	-	981
სხვა ხარჯი	25	-
სულ	59,938	36,662

19. გადასახადები/საგადასახადო ვალდებულებები

მოგების გადასახადი

საქართველოს საგადასახადო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, შეიცვალა კომპანიების დაბეგვრის ადრე არსებული მოდელი, რომელიც ყველა პირისთვის, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

ახალი, ე.წ. „ესტონური“, მოდელის მიხედვით, კომპანიებს აღარ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მოგებიდან (რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან) მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება დივიდენდების, ან სხვა ფორმით (მანამდე არსებული მოდელის მიხედვით, კომპანიის მოგება 15%-იანი გადასახადით იბეგრებოდა იმის მიუხედავად, ხდებოდა თუ არა წმინდა მოგების დივიდენდის სახით განაწილება). მოგების ახალი მოდელით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის საფუძველზე კომპანიებს საშუალება მიეცათ, 2017 წლამდე ბიუჯეტში გადახდილი მოგების გადასახადი ჩაითვალოს მომდევნო პერიოდებში თუ ისინი მოგების სახით განაწილებენ 2017 წლამდე დაგროვილ მოგებას.

დღგ

კომპანიის მიერ გაყიდვების/მომსახურების გაწევის ოპერაციებთან დაკავშირებული დღგ სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახდელია მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების შესაბამისად, კანონმდებლობით გათვალისწინებულ ვადებში. კომპანიას შეუძლია განახორციელოს დღგ-ს ჩათვლა შესაბამისი ჩასათვლელი თანხების დეკლარირების გზით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დაშვებულია გადამხდელის მიერ დღგ-ის თანხის გადახდა ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლის გათვალისწინებით). შესაბამისად, კომპანიის მიერ განხორციელებული დასაბეგრი ოპერაციების საფუძველზე გადასახდელი დღგ, რომლის გადახდაც არ მომხდარა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აისახება (აღიარდება) ე.წ. „წმინდა თანხის“ საფუძველზე (მიღებული დღგ-ს ჩათვლების გათვალისწინებით). საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად დღგ-თი დაბეგვრა ხდება წინასწარ კომპანიის მიერ მიღებული კომპენსაციის თანხების. აღსანიშნავია, რომ ევროდირექტივების თანახმად, მოხდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში დღგ-ს მთლიანი კარის ცვლილება, რომლის თანახმად დაიხვეწა ტერმინოლოგია და მოვიდა ევროკავშირის ქვეყნების მოთხოვნებთან შესაბამისობაში გარკვეულწილად. აღნიშნული ცვლილება ძალაში შევიდა 2021 წლის იანვრის თვიდან.

20. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2022წ.	2021წ.
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება მთლიანად	268,476	33,778
სულ	268,476	33,778

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი ოპერაციები:

საქონლის მიწოდება:

	2022წ.	2021წ.
უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირები	4,965	1,595
სულ	4,965	1,595

საქონლის მიწოდება მოხდა საბაზრო პირობებით.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	2022წ.	2021წ.
მოთხოვნები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების მიმართ (შენიშვნა 4)	9,979	5,014
სულ	9,979	5,014

21. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

ანარიცხები ანარიცხი აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმოს აქვს წარსული მოვლენების შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე ვალდებულება. ასევე, მოსალოდნელია, რომ საწარმოს მოეთხოვება ეკონომიკური სარგებლის გადაცემა ვალდებულების დასაფარად და ვალდებულების ოდენობა საიმედოდ შეფასებადია. ანარიცხი წარმოადგენს იმ თანხის საუკეთესო შეფასებას, რომელიც აუცილებელი იქნება ამ ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის. ანარიცხი დადგენილია ვალდებულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი რისკებისა და განუსაზღვრელობების გათვალისწინებით.

ამასთანავე, გათვალისწინებულია დისკონტირება, რათა მოხდეს ფულის დროითი ღირებულების ასახვა დაბეგვრამდე ურისკო დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ეფუძნება ისეთ სახელმწიფო ობლიგაციებს, რომელთა ვადა უდრის მოსალოდნელი ფულადი ნაკადების გადინებას. პროდუქტის გარანტიები ანარიცხი აღიარდება, მაშინ როდესაც მოსალოდნელია 3-წლიანი გარანტიით გაყიდულ პროდუქტზე წარმოიშვას საჩივრები. საწარმო იღებს ვალდებულებას შეაკეთოს ან ჩაანაცვლოს საქონელი, იმ შემთხვევაში თუ საწარმოო ნაკლები გამოვლინდება შესყიდვის თარიღიდან სამი წლის ვადაში. საგარანტიო ანარიცხის საბალანსო ღირებულება შეფასებულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს მისი მოსალოდნელი ღირებულებით, შეწონილი ალბათობის გამოყენებით (ე.ი. ემყარება წინა წლებში წარმოქმნილი შეკეთებისა და ჩანაცვლების დანახაჯების კორექტირებებს განუსაზღვრელობებისთვის), მხედველობაში მიიღება ნებისმიერი გარემოება რომელმაც გავლენა მოახდინა პროდუქტის ხარისხზე.

22. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდგომ მნიშვნელოვანი მოვლენები არ მომხდარა.

აღნიშნული განმარტებითი შენიშვნები წარმოადგენს წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.